ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N4

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 11.03.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბიჭიკო პაიკიძე, გია ხარაბაძე, მალხაზ ცერცვაძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი: **კობა მაღლაკელიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -**ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.„ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2.„ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს ,,მაგთიკომი“-ს შორის 2010 წლის პირველს თებერვალს დადებული ქირავნობის N 28 ხელშეკრულების 6.1 პუნქტში ცვლილების შეტანისა და 6.2 პუნქტის ამოღებისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”.

მომხს: ზვიად კაპანაძე

4. სხვადასხვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 32

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი:„ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

ბიუჯეტში დაგეგმილია შემდეგი სახის ცვლილებები: 1. სოფლის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 06) ასიგნება იზრდება 13,5 ათასი ლარით, პროექტების თანადაფინანსების მიზნით. 2. მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 01 02) ასიგნება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით მცირდება 13,5 ათასი ლარით. 3. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების (პროგრამული კოდი 02 01) ასიგნება იზრდება 6,4 ათასი ლარით (შპს ბესტ ტრანსის N 114 17.06.2020 შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე ს.ს სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის მიერ საბანკო გარანტიის საფუძველზე საავანსო თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით) 4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების (პროგრამული კოდი 02 05) ასიგნება იზრდება 11,1 ათასი ლარით (შპს ზადუს N77 30.04.2020 შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე ს.ს სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის მიერ საბანკო გარანტიის საფუძველზე საავანსო თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით). ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 10692,9 ათასი ლარით, გადასახდელები 11993,4 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ლარის რედაქციით:

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 32

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება N5)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

მ/წლის საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გაგრძელდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 570 000 ლარი.

პროგრამის ძირითადი მიზანი რჩება იგივე, სოფლის დასახლებებში მოსახლეობის ჩართულობით და გადაწყვეტილებებით მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართა შეხვედრები მოსახლეობასთან, სადაც დასახელდა ის კონკრეტული პროექტები, რომლის განხორციელებაც ამ ეტაპზე მოსახლეობას მიაჩნია პრიორიტეტულად. მოსახლეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აისახა შესაბამის ოქმებში, რომელიც დაიგეგმა წინამდებარე დანართში სოფლების მიხედვით და შერჩეული პროექტების ჩვენებით.

გარდა მთავრობის მიერ გამოყოფილი 570 000 ლარისა მ/წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში მიიმართა გასული წლის ამავე პროგრამიდან ნაშთის სახით დარჩენილი 15 847 ლარი და ადგილობრივი მერიის მიერ პროგრამის თანადაფინანსებისთვის გამოყოფილი 13 500 ლარი.

სულ მ/წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მობილიზდა 599 347 ლარი, რომლითაც დაფინანსდება 96 პროექტი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 32

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება: „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

(განკარგულება N 27 10)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ (მომხსენებლის ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „მაგთიკომი“-ს შორის 2010 წლის პირველს თებერვალს დადებული ქირავნობის N 28 ხელშეკრულების 6.1 პუნქტში ცვლილების შეტანისა და 6.2 პუნქტის ამოღებისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შედის ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „მაგთიკომი“-ს შორის 2010 წლის პირველს თებერვალს დადებული ქირავნობის N 28 ხელშეკრულების 6.1 პუნქტში ცვლილების შეტანაზე და 6.2 პუნქტის ამოღებაზე. კერძოდ: 6.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - დამქირავებლის მიერ გამქირავებლისთვის გადასახდელი ქირა თვეში შეადგენს 1,200 (ათას

ორასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, ხოლო 6.2 პუნქტი ამოღებული იქნება ამ ხელშეკრულებიდან.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 29

წინააღმდეგი –3(რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, დავით ხარძეიშვილი)

დეპუტატებმა, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს ამ პროექტს , აღნიშნეს რომ წინააღმდეგი არიან ამ პროექტში ფასის ცვლილების, კერძოდ კლების გამო.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება: ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს ,,მაგთიკომი"-ს შორის 2010 წლის პირველს თებერვალს დადებული ქირავნობის N 28 ხელშეკრულების 6.1 პუნქტში ცვლილების შეტანისა და 6.2 პუნქტის ამოღებისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე".

(განკარგულება N 27 9)

,, სხვადასხვაში" საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე